თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №29

28 ივნისი 2018 წ.

ქ. თელავი

## „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №6 განკარგულებაში.

1. „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №6 განკარგულების დანართი „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა“ ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი*

თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის
მუნიციპალური პროგრამა

| № | დასახელება ობიექტების | ჩასატარებელი სამუშაო | განხორციელების თარიღი | თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | დაბახნები,ზუზუმბო, ყადორი, მაწანწარა | არქეოლოგიური და დაზვერვითი სამუშაოების განხორციელება | I-II კვარტალი | 20 311 |
| 2 | „კვირიკე დიდის ციხის" (ძველი გალავანი) და მისი მიმდებარე ტერიტორია | ისტორიული ძეგლების და ტერიტორიის დასუფთავების სამუშაოების განხორციელება | II-III-IV კვარტალი | 6 000 |
| 3 | „კვირიკე დიდის ციხის" (ძველი გალავანი) განათება | კულტურული მემკვდრეობის ძეგლის განათების მოწყობის სამუშაოები | II-III-IV კვარტალი | 10 300 |
| 4 | ჩოლოყაშვილის ქ.N18 ჩრდილოეთის ეზოში გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტის გადახურვის სამუშაოები | კულტურული მემკვდრეობის ძეგლების დაცვა, მოვლა-პატრონობა | I-II კვარტალი | 9 700 |
| 5 | ჩოლოყაშვილის ქუჩა | არქეოლოგიური სამუშაოები | II-III-IV კვარტალი | 20 000 |
| 6 | სოფ. თეთრიწყლები - კუნტუსის ნაქალაქარი | სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები | II-III კვარტალი | 16 700 |
| 7 | სანებართვო მოსაკრებელი | სანებართვო მოსაკრებელი | წლის განმავლობაში | 300 |
| 8 | საგანმანათლებლო ღონისძიებები და კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების პროექტების | კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ისტორიულ-კულტურული შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება; მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, | II-III-IV | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დაფინანსება | საერთაშორისო და ადგილიბრივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სესიების, სიმპოზიუმების, თათბირების, სემინარებისა და გამოფენების მოწყობა; კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული გზამკვლევების, ბროშურების, ჟურნალების, ბუკლეტების ბეჭდვითი მომსახურება | კვარტალი | 7 000 |
| 9 | ყორჩიბაშიშვილების ციხე | ჩრდილო - დასავლეთ ბურჯის რესტავრაცია | II-III-IV კვარტალი | 25 000 |
| | თანხა სულ | | | 115,311 |

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე